სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/41 17. 06. 2020 წ

საშემსრულებლო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამის შემოქმედებითი ტურისათვის სარეგისტრაციო კომისიის შექმნის, სარეგისტრაციო ვადებისა და წარმოსადგენი საბუთების ნუსხის დამტკიცების შესახებ

I. 2020-2021 სასწავლო წელს საშემსრულებლო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთაგან შემოქმედებითი ტურისთვის საბუთების მიღების მიზნით შეიქმნას სარეგისტრაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. მზექალა ლასარეიშვილი
2. ნანა კობიძე

II. შემოქმედებით ტურზე დაშვების მიზნით აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;
2. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატი, დიპლომი, მიმდინარე წლის კურსდამთავრებულებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა საჯარო სკოლიდან);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4. 6 ცალი ფოტოსურათი 3 X 4 - ზე;
5. ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი- (დედნის წარდგინებით);
6. შემოქმედებით ტურში შესასრულებელი პროგრამა (საბუთების წარდგენის შემდეგ შესასრულებელ პროგრამაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

III. საბუთების მიღება იწარმოებს 2020 წლის 17 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით ყოველ დღე კვირის გარდა. მისამართი: ქუთაისი, კ. გამსახურდიას ქ. # 43-ა (ყოფილი ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის შენობა), 10 საათიდან 18 საათამდე.

IV. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში.

V. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

VI. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

რექტორი: **პროფ. როლანდ კოპალიანი**

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი — იმერ ბასილაძე